საქართველო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

N 49
30/08/2019

49-07-4-201908301454

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**განკარგულება №49**
**2019 წლის 30 აგვისტო**
**ქ. ლანჩხუთი**

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლების მიმღების ინდ. მეწარმე ლევან ჩხაიძის მიერ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან განთვისუფლებაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად,

**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლების მიმღები პირი ლევან ჩხაიძე, მისი განცხადების საფუძველზე, გაათავისუფლოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტსა (ს/კ 233730139) და ლევან ჩხაიძეს (პ/ნ 26001006438) შორის გაფორმებული „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების ქირავნობის უფლებით გადაცემის“ 2014 წლის 7 მაისის N3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან, რომლის ოდენობა შეადგენს 772 (შვიდასსამოცდათორმეტი) ლარს.

**მუხლი 2**. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

**მუხლი 3**. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო